

თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები
სასპეციალიზაციო გამოცდა

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ მოდულს:

1. დარგობრივი თარგმანი (ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი);
2. ფართო პროფილის თარგმანი (გერმანული/რუსული ენები).

გამოცდის ფორმატი

პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა „თარგმანის თეორიისა და ისტორიაში“. საგამოცდო ბილეთი შედგება 4 საკითხისაგან (მაქსიმალური შეფასება 100 ქულა):

- I საკითხით შემოწმდება რამდენად იცნობს კონკურსანტი საბაზო ტერმინებს (30 ქულა);
- II-III საკითხებით შემოწმდება, როგორი საბაზო თეორიული ცოდნა აქვს კონკურსანტს (20-20 ქულა).
- IV საკითხი არის ანალიტიკური წერა, რომელიც ორიენტირებულია არა კონკრეტული ცოდნის, არამედ კონკურსანტის ლოგიკური და დამოუკიდებელი აზროვნების შემოწმებაზე (30 ქულა).

საგამოცდო საკითხები:

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა იცოდეს შემდეგი საბაზო ტერმინების განმარტება:

- ადეკვატური თარგმანი;
- ადაპტირებული თარგმანი;
- ავტორისეული თარგმანი;
- ბილინგვიზმი;
- განმარტებითი ლექსიკონი;
- დარგობრივი ლექსიკონი;
- დასურათებული ლექსიკონი;
- დიალექტოლოგიური ლექსიკონი;
- ენციკლოპედიური ლექსიკონი;
- თარგმანის ლექსიკონი;
- სასკოლო ლექსიკონი;
- მრავალენოვანი ლექსიკონი;
- ორენოვანი საგნობრივი ლექსიკონი;
- ფრაზეოლოგიური ლექსიკონი;
- დედანი (თარგმანში);
- დედნის (თარგმანის დედნის) სპეციფიკა;
- ეთნოკულტურული რეალიები;

- ენა_შუამავალი;
- ერთაშორისი ურთიერთობის ენა;
- ვერბალური კომუნიკაცია;
- ზეპირად თარგმნა;
- თავისუფალი თარგმანი;
- თარგმანის თარგმანი;
- თარგმანება;
- თარჯიმანი;
- მთარგმნელი;
- მთარგმნელის ცრუ მეგობრები;
- მხატვრული თარგმანი;
- საგაზეთო-ინფორმაციული თარგმანი;
- სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანი;
- სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმანი;
- ორიგინალის ენა;
- პწკარედი;
- უეკვივალენტო ლექსიკა;
- წერილობითი თარგმანი;
- თარგმნა;
- თარგმნადობა;
- ეკვივალენტი;
- თარგმნის პრაქტიკა;
- ლექსიკა.

ლიტერატურა: თარგმანის ლექსიკონი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001;

Л.Л. Нелюбин. Толковый переводческий словарь. М. 2003.

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა იცოდეს შემდეგი თეორიული საკითხები:

1. ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები (გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ.,1958. გვ.5-77).
2. ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი ქართული თარგმანის ისტორიაში (დ.ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,2002. გვ. 10-29) .
3. საქართველოში თარგმანის თეორიის განვითარების ისტორია (დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ.,2002. გვ. 29-36).
4. თარგმნის პროცესისა და თარგმანის ინტერპრეტაცია თანამედროვე თეორიებში (დ.ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., განათლება, 1995. გვ. 6-48).
5. მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი და თარგმანის ენის პრობლემა (დ.ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ., 1988,გვ. 23-30).

ლიტერატურა:

- გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ.,1958.
- თარგმანის ლექსიკონი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.

დ. ფანჯიკიძე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ., 2002.

დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., განათლება, 1995

დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ., 1988

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეძლოს ესეს დაწერა მოცემულ თემაზე (ანალიტიკური წერა).

ნიმუში:

ქვემოთ მოცემული ორი თემიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და გამოთქვით თქვენი აზრი, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს. ახსენით თქვენი პოზიცია, თქვენი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, ლიტერატურიდან და ა. შ.

თემები:

1. თარგმანის შეფასების ზუსტი კრიტერიუმები უნდა არსებობდეს.
2. მთარგმნელობითი საქმიანობა არ არის მნიშვნელოვანი თანამედროვე სამყაროში

მოწმდება:

1. შინაარსი (რელევანტურობა) – 5 ქულა
2. დასაბუთება-არგუმენტაცია -10 ქულა
3. თხრობის ორგანიზება -5 ქულა
4. სტილი, სინტაქსი, ლექსიკა -5 ქულა
5. მორფოლოგია-ორთოგრაფია, პუნქტუაცია- 5 ქულა

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. ნანა გაფრინდაშვილს.

ელ-ფოსტა: nana.gaprindashvili@tsu.ge